

მოთხოვნების ერთიანი დოკუმენტი

ნაწილი 1
მონაცემები

მომწოდებლების რეესტრი	დანართი 1
დაწესებულება	იტალიის საელჩოსთან არსებული იტალიის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობა, სააგენტო ITA-ს ბაქოს ოფისი/თბილისის დესქი
შესყიდვის სახელწოდება და მოკლე აღწერა	დასტურდება დეკლარაციით
ქვეყანა	საქართველო/ აზერბაიჯანი

ნაწილი II: ეკონომიკური ოპერატორის მონაცემები

ა. ეკონომიკური ოპერატორის საიდენტიფიკაციო მონაცემები	პასუხი
სახელწოდება	[.....]
საიდენტიფიკაციო ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ფისკალური კოდი, დღგ, სარეგისტრაციო ნომერი ან სხვა)	[.....]
საფოსტო მისამართი:	[.....]
საკონტაქტო პირები:	[.....]
ტელეფონი:	[.....]
ელ. ფოსტა:	[.....]
ვებ გვერდი	[.....]
არსებობის შემთხვევაში	

ბ. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელი:	პასუხი
სახელი, გვარი	[.....]
დაბადების ადგილი და თარიღი	[.....]
თანამდებობა/წოდება:	[.....]
საფოსტო მისამართი:	[.....]
ტელეფონი:	[.....]
ელ. ფოსტა:	[.....]
საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაადასტუროთ წარმომადგენლობის დეტალები (ფორმა, მიზანი...)	[.....]

III: შეზღუდვა მონაწილეობის მიღებაზე

ა . სისხლის სამართლის დანაშაული

შერჩევის პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებს ის სუბიექტი, რომელსაც ჩადენილი აქვს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი სისხლის სამართლის დანაშაული, გამოტანილი საბოლოო განაჩენით იტალიის ან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც შესყიდვა უნდა განხორციელდეს:

(1). ორგანიზებულ კრიმინალურ დანაშაულში მონაწილეობა (2). კორუფცია (3). თაღლითობა (4). ტერორისტული დანაშაული ან დანაშაული, რომელიც ტერორისტულ საქმიანობას უკავშირდება (5). კრიმინალური ქმედებებიდან მიღებული შემოსავალი ან ტერორიზმის დაფინანსებაში მონაწილეობა (6). არასრულწლოვანის დასაქმება ან ადამიანების მიმართ განხორციელებული სხვა არაკანონიერი ქმედება 7). ნებისმიერი სხვა დანაშაული, რომლის გამოც სუბიექტს არ შეეძლება სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობა.

გარემოებები, რომლებიც განსახორციელებელი შესყიდვისთვის შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღებას კრძალავს გათვალისწინებულია იტალიის კანონმდებლობაში; სხვა მსგავსი გარემოებებია:

-ევროკავშირის წევრ ქვეყნებში- ევროკავშირის 2014/24 დირექტივის შიდა ნორმატიული აქტის 57-ე მუხლში მოცემული გარემოებები;

-ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში-ადგილობრივ ანალოგიური სისხლის სამართლის ნორმატიულ აქტებში გათვალისწინებული გარემოებები;

არ მომხდარა არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზით ეკონომიკური ოპერატორის, მისი წევრის ან ნებისმიერი სუბიექტის, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ეკონომიკურ ოპერატორს დადანაშაულება გამოტანილი განაჩენით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ან სხვა პერიოდში, როდესაც ასეთ პერიოდს გამოტანილი განაჩენი აზუსტებს, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, ადგილი ქონდეს შერჩევის პროცესიდან ეკონომიკური ოპერატორის გამოთიშვას.

ბ. გადასახადები და სოციალური შენატანები

ეკონომიკურ ოპერატორს შესრულებული აქვს ყველა ვალდებულება, რომელიც უკავშირდება გადასახადების თუ სოციალური შენატანების გადახდას იტალიის ან იმ ქვეყანის ტერიტორიაზე, სადაც შესყიდვა უნდა განხორციელდეს.

გ. გადახდისუუნარობა, ინტერესთა კონფლიქტი ან სამართალდარღვევა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას

1) ეკონომიკურ ოპერატორს გათვინობიერებულად არ დაურღვევია შრომის ან ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, ისევე როგორც გარემოსდაცვითი, სოციალური თუ სამსახურეობრივი მოვალეობები.

2) ეკონომიკური ოპერატორი არ იმყოფება შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთში და არ ექვემდებარება გადამოწმებას არცერთი შემდეგი მიმართულებით:

ა) გადასახადის გადაუხდელობა, გადახდისუუნარობა, ლიკვიდაცია ან სხვა მსგავსი გარემოება;

ბ) შეწყვეტილი აქვს საქმიანობა.

3) არ მომხდარა ეკონომიკური ოპერატორის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დადანაშაულება სერიოზული სამართალდარღვევის გამო;

4) ეკონომიკურ ოპერატორს არ აქვს ხელმოწერილი შეთანხმებები სხვა ეკონომიკურ სუბიექტებთან, რომლის მიზანიც შესაძლოა, იყოს კონკრეტული გარემოებების თავის სასარგებლოდ ცვლილება;

5) ეკონომიკური ოპერატორი არ ფლობს ინფორმაციას იმ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტზე, რომელიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს მის მონაწილეობას განსახორციელებელი შესყიდვის შერჩევის პროცედურებში;

6) ეკონომიკურ ოპერატორს ან კომპანიას, რომელიც მასთან კავშირშია, არ გაუწევია საკონსულტაციო მომსახურება დამკვეთისთვის, არც სხვაგვარად არ აქვს მიღებული მონაწილეობა საჯაროდ გამოცხადებულ შესყიდვის პროცედურების მოსამზადებელ პროცესებში;

7) ეკონომიკურ ოპერატორს არ აქვს სახელმწიფო შესყიდვის ვადამდელი შეწყვეტის წინა გამოცდილება; არ მომხდარა მასზე წინა საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ზარალის კომპენსაციის ან სხვა სახის სანქციის დაწესება.

8) ეკონომიკური ოპერატორი ადასტურებს, რომ

ა) არ მოახდენს მცდარი ინფორმაციის დეკლარირებას, რომლის მიწოდებაც მას მოეთხოვება მისი შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით ან იმის დასადგენად, რომ აკმაყოფილებს პირობებს და მისი განაცხადი მომწოდებელთა რეესტრში რეგისტრირებაზე არ ექვემდებარება უარს.

ბ) არ დამალავს მსგავს ინფორმაციას;

გ) დამკვეთის მოთხოვნით დაუყოვნებლივ წარადგენს დამატებით დოკუმენტაციას;

დ) არ ეცდება არაჯეროვანი გავლენა მოახდინოს დამკვეთის გადაწყვეტილებაზე; არ ეცდება კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას, რომელმაც იგი შესაძლოა შერჩევის პროცესში უპირატესულ პირობებში ჩააყენოს; არ მიაწვდოს ინფორმაციას, რომელმაც დამკვეთი შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაზე.

დ. იტალიის ან შესყიდვის ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურებში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზები

ეკონომიკური ოპერატორი არ იმყოფება არცერთ შემდეგ გარემოებათაგანში:

- 1) ანტიმაფიური კანონით გათვალისწინებული გარემოებები, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, მოხდეს განაცხადის გაუქმება, შეწყვეტა ან მონაწილეობის აკრძალვა;
- 2) არ ექვემდებარება ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ გამოძიებას;
- 3) არ ექვემდებარება საქმიანობის შეჩერებას ან სანქციას, რომელსაც მოსდევს სახელმწიფო ორგანოებთან საკონტრაქტო ვალდებულებებში შესვლის აკრძალვა;
- 4) არაა შეყვანილი ადგილობრივი ხელისუფლების ანტიკორუფციულ ნუსხაში, რომლის მიზეზიც შესაძლოა, ყოფილიყო არასწორი დეკლარაცია და მცდარი დოკუმენტაციის წარდგენა რეგისტრაციისთვის საჭირო კვალიფიკაციის ყალბი ატესტატის მოპოვების მიზნით;
- 5) არ დაურღვევია უფლებამოსილობა;
- 6) არ იცავს სამსახურში შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებებს;
- 7) იმ შემთხვევაში, თუ ყოფილა ქრთამის მოთხოვნის ან გამოძალვის მსხვერპლი კრიმინალური დაჯგუფების მხრიდან ან ნებისმიერი იმ სუბიექტის მხრიდან, რომლის ქმედებაც ხელს უწყობს ორგანიზებულ კრიმინალურ დანაშაულს და საჭიროებდა იურიდიულ დაცვას, იურიდიული ორგანოებისთვისა რ დაუმალავს ფაქტები;
- 8) სხვა მონაწილესთან შედარებით არ იმყოფება ნდობის გარემოებაში, ან სიტუაციაში, რომლის კონტროლიც შესაძლოა ან ნებისმიერ სხვა ფაქტიურ გარემოებაში, თუ ეს გარემოებები გამოიწვევს გავლენას გადაწყვეტილებაზე;
- 9) არ ქონია შრომითი ან ავტონომიური კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც მოახდენდა დამკვეთის ყოფილი თანამშრომლებისთვის სამსახურეობრივი მოვალეობების დაკისრებას სამი წლის მანძილზე ან თუ თანამშრომლებს ბოლო სამი წლის მანძილზე დამკვეთის სახელით უწევდა ამ ეკონომიკურ ოპერატორთან მოლაპარაკება (*pantouflage* o *revolving door*).

ნაწილი IV: შერჩევის კრიტერიუმები

ეკონომიკური ოპერატორი აკმაყოფილებს დოკუმენტაციით გათვალისწინებულ შერჩევის პროცედურების ყველა კრიტერიუმს.

ნ ა წ ი ლ V: საბოლოო დადასტურება/დეკლარაცია

დოკუმენტზე ხელმომწერი მხარე/მხარეები ფორმალურად ადასტურებს/ადასტურებენ, რომ მე-2 და მე-4 ნაწილში მოცემული ინფორმაცია სწორი და ზუსტია; ხელმომწერმა მხარემ/მხარეებმა იციან, რომ არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში შესაძლოა, დადგეს იტალიური და ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციის დადგენის გარემოება.

ხელმომწერი მხარე/მხარეები ადასტურებს/ადასტურებენ, რომ არ არსებობს გარემოება, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, მოხდეს შერჩევის პროცესში მისი/მათი განაცხადის დაბლოკვა, მე-3 ნაწილში აღწერილი მიზეზებით და რომ აკმაყოფილებს მე-4 ნაწილში ნახსენებ მოთხოვნებს.

ხელმომწერი მხარე/მხარეები დამკვეთს ანიჭებს/ანიჭებენ ფორმალურ უფლებამოსილებას, მოახდინოს წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის გადამოწმება კომპეტენტურ ადგილობრივ ორგანოებთან.

ხელმომწერი მხარე/მხარეები სხვა უფლების დატოვების და გამონაკლისის გარეშე იღებს/იღებენ მომწოდებელთა რეესტრში რეგისტრაციის რეგულაციის დოკუმენტსა და დანართ 1-ში, როგორც მის განუყოფელ ნაწილში მოცემულ პირობებს.

[ადგილი, თარიღი]

[სახელი/სახელები, გვარი/გვარები,
პოზიცია/პოზიციები]

გთხოვთ, თან დაურთოთ თითოეული ხელმომწერი პირის პირადობის/პასპორტის ასლი.

**ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემებით სარგებლობასთან დაკავშირებული
ინფორმაცია
ვეროკავშირის რეგულაცია 2016/679, მუხლი 13**

პერსონალური მონაცემების გამოყენება მოხდება კანონიერების, სიზუსტის და გამჭვირვალობის პრინციპებით ფიზიკური პირის უფლებების და თავისუფლების დაცვით.

1. მონაცემის გამოყენებაზე პასუხისმგებელი სუბიექტია იტალიური კომპანიების ხელშეწყობის და ინტერნაციონალიზაციის სააგენტო ITA (ამის შემდგომ-სააგენტო ITA), რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს როგორც სააგენტო ITA-ს ბაქოს ოფისი (მისამართი: ლენდმარქის ბიზნეს ცენტრი, ხაგანის ქუჩა 45ა, ბაქო, აზერბაიჯანი, ტელეფონი: +994 12 49 71 793, ელ. ფოსტა: baku@ice.it, tbilisi@ice.it).
2. სააგენტო ITA პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დაცვაზე; კითხვების და პრეტენზიის წარმოშობის ან არსებობის შემთხვევაში ეკონომიკურ ოპერატორს შეუძლია, დაუკავშირდეს ცენტრალურ ოფისს შემდეგ მისამართზე: ლისზტის ქუჩა (Liszt), 21 – 00144 რომი, ელ. ფოსტა: : privacy@ice.it.
3. მოთხოვნილი პერსონალური მონაცემები საჭიროა ეკონომიკური ოპერატორის შერჩევითვის შესყიდვის პროცედურებში.
4. პერსონალური მონაცემების გადაცემის ვალდებულება გათვალისწინებულია იტალიის კანონმდებლობაში; მონაცემების გადაცემაზე უარის თქმა გამოიწვევს ეკონომიკური ოპერატორის გამოთიშვას შერჩევის პროცესიდან.
5. პერსონალური მონაცემების გამოყენება მოხდება ხელით ან ინფორმატიკული საშუალებებით სპეციალურად გამოყოფილი პერსონალის მიერ.
6. პერსონალური მონაცემების გადაცემა მოხდება სააგენტო ITA-ს შიდა და საგარეო კონტროლის უწყებებზე. ამ საინფორმაციო დოკუმენტზე ხელის მოწერით დაინტერესებული მხარე თანახმაა, მონაცემების გაზიარება მოხდეს ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანოებთან კონტრაქტის ძირითადი ელემენტების გადამოწმების მიზნით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დამკვეთის ვებ-გვერდზე იტალიური კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო კონტრაქტების ტრანსფარენტულობის დაცვის მიზნით.
7. პირადი მონაცემების შენახვა მოხდება მინიმუმ 5 წლის ვადით; ვადის ათვლა დაიწყება იმ პერიოდიდან, როდესაც დასრულდება კონტრაქტით გათვალისწინებული შესრულებული ვალდებულება ან სხვა შემთხვევაში, თუ/როცა ვალდებულების შეუსრულებლობით მოხდება კონტრაქტის შეწყვეტა. თუ ადგილი ექნება იურიდიული დავის დაწყებას, მოხდება შენახვის ვადის შეჩერება.
8. დაინტერესებულმა მხარემ შესაძლოა, მოითხოვოს ხელმისაწვდომობა თავის პირად მონაცემებზე და ჩაასწოროს ისინი. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულმა მხარემ უნდა წარადგინოს სპეციალური მოთხოვნა პირველ პუნქტში მოცემულ ელ.ფოსტაზე, რომლის შესახებაც საქმის კურსში ჩააყენებს მე-2 პუნქტში მოცემულ სააგენტო ITA-ს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ საკონტაქტო პირსაც.
9. თუ მხარე მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დარღვეულია, შეუძლია საჩივარი წარუდგინოს სააგენტო ITA-ს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს ან მიმართოს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ მოხელეს (მონტე ჩიტერიოს მოედანი 121, რომი 00186, ტელ: 0039 06 696771, ელ. ფოსტა: garante@gpdp.it, protocollo@pec.gpdp.it) ან იურიდიულ ორგანოს.

[ადგილი, თარიღი]

ვადასტურებ ხელმოწერით

.....